სალომე გავაშელიშვილი

კოდოლანი იანოშის უნივერსიტეტი, უნგრეთი

2025 წლის 31 მარტი - 4 აპრილის კვირაში კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის წარმომადგენელი, სალომე გავაშელიშვილი, Erasmus+ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ფარგლებში იმყოფებოდა კოდოლანი იანოშის უნივერსიტეტში, უნგრეთში.

ვიზიტის ფარგლებში, მონაწილეს შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და ესაუბრათ ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობებზე. აღსანიშნავია, ასევე პარტნიორი უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის წარმომადგენელთან შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც საუბარი შედგა სტუდენტთა მობილობის საკითხებზე და მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია მუშაობის სტილისა და გამოცდილების შესახებ.

გარდა ამისა, მონაწილეს შესაძლებლობა მიეცა დასწრებოდა ლექციას ბიზნესის ფაკულტეტიდან - „Sustainable Development” და გაცნობოდა ლექციის ჩატარების განსხვავებული ტექნიკებს და მეთოდებს.

ამ ტიპის მობილობა სრულად ემსახურება Erasmus+ პროგრამის მიზნებს — ხელი შეუწყოს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, კულტურულ გაცვლასა და პროფესიულ განვითარებას უმაღლესი განათლების სფეროში.